საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. ი.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.06.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 040/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატების დ. კ.-ისა /სიითი N/ და თ. ც.-ის /სიითი N/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატების დ. კ.-ისა და თ. ც.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 14 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა თ. ი.-მა და მოითხოვა ადვოკატების დ. კ.-ისა და თ. ც.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატები დ. კ. და თ. ც. 2015 წლიდან იცავენ მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის, მოსარჩელის ინტერესებს სამოქალაქო საქმეში.

1.3 მოსარჩელეთა (ი. ტ.-ისა და ე. ხ.-ის) მოთხოვნას მის და მეორე მოპასუხის (ზ. რ.-ს, რომელიც გარდაიცვალა 2016 წელს) მიმართ წარმოადგენდა სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალის (ძირი, პროცენტი, პირგასამტეხლო) დაბრუნება. მოსარჩელეებმა წარმომადგენლების

მეშვეობით სასამართლოს წარუდგინეს სესხის ხელშეკრულების არასწორი თარგმანი. კერძოდ, რუსულენოვან დოკუმენტში მითითებული თანხა განსხვავდება თანგმანში მითითებული თანხისაგან. როგორც მისი წარმომადგენელი, ასევე სასამართლო, ხელმძღვანელობდნენ ამ დოკუმენტის ქართული თარგმანით.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატებმა დამალეს ქართულ ენოვანი დოკუმენტის უზუსტობა, რათა მოსამართლესა და მის ადვოკატს არ გასჩენოდათ კითხვა თუ რატომ არსებობდა უზუსტობა გაცემულ სესხს, გადახდის გრაფიკს, პროცენტსა და პირგასამტეხლოს შორის.

1.5 ადვოკატებმა სასამართლოში წარადგინეს სესხის ხელშეკრულება, სადაც გვერდებს არ აქვს ნუმერაცია, არ არის მითითებული ნოტარიუსის მონაცემები. მომჩივანმა განმარტა, რომ მან შეძლო იმის დამტკიცება, რომ ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა განხორციელდა იძულებით. მისი ადვოკატი, რომელიც აიყვანა სანქტ-პეტერბურგში, ითხოვდა ხელშეკრულების სრულ ვარიანტს, რათა შეძლებოდა ინფორმაციის სრულყოფილად მიღება და გამოთხოვა ნოტარიუსისაგან.

1.6 ადვოკატებმა დ. კ.-მა და თ. ც.-მა 1 წლის განმავლობაში დამალეს მოსარჩელე ი. ტ.-ის გარდაცვალების ფაქტი, ინფორმაცია სასამართლოს მიაწოდეს 2020 წლის 22 სექტემბერს, მაშინ როდესაც პიროვნება გარდაიცვალა 2019 წლის 7 სექტემბერს. ამ დროის მონაკვეთში ჩატარდა არაერთი სასამართლო სხდომა. ადვოკატებს კლიენტის გარდაცვალების შესახებ ინფორმაციის სასამართლოსათვის მიწოდება მოუწიათ, რადგან გადიოდა მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ვადა.

1.7 ადვოკატებმა სასამართლოს წარუდგინეს იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია 2014 წლის 29 ივნისს და მასში მითითებულია დავის წარმოება სასამართლოში თ. ი.-სა და ზ. რ.-ს მიმართ, მაშინ როდესაც მხარეთა შორის ვალის ხელშეკრულება გაფორმებულია 2015 წელს. ასევე, განსხვავდება ამ დოკუმენტებზე ი. ტ.-ის ხელმოწერა. საჩივრის ავტორის განმარტებით მან მიმართა საგამოძიებო ორგანოებს ხელმოწერის სიყალბის ფაქტის დასადგენად, შესაძლოა იქ გამოიკვეთოს ადვოკატთა ბრალეულობაც.

1.8 ადვოკატების მოთხოვნები და განმარტებები სასამართლო სხდომაზე, მტკიცებულებებთან დაკავშირებით, იყო მისთვის შეურაცხმყოფელი. მაგალითად, როდესაც მან სასამართლოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ზ. რ. იყო უგზო უკვლოდ დაკარგული და მოიძებნა როგორც გარდაცვლილი, ადვოკატებმა მის ტრაგედიაზე ირონიულად განაცხადეს, რომ „ეს იყო არაფერი და კავშირი არ ჰქონდა საქმესთან“.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას შემდეგ რაც მოსარჩელემ წააგო დავა პირველი ინსტანციის სასამართლოში, ადვოკატებმა მიმართეს სააპელაციო სასამართლოს და მიაწოდეს არასწორი ინფორმაცია - რომ სურდათ სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლება, რადგან თითქოს მათ კლიენტებს ჰქონდათ მძიმე მატერიალური მდგომარეობა. ამ

მოთხოვნის დასასაბუთებლად ადვოკატებს სასამართლოში არ წარუდგენიათ არანაირი დოკუმენტი.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, თ. ც.-ის არგუმენტაციები მისთვის არადამაჯერებელია:

- იმის დასამტკიცებლად, რომ თბილისიდან სანქტ-პეტერბურგში მისი გადაფრენა უკავშირდებოდა ზ. რ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობას, წარადგინა ცნობები ავიაბილეთების ყიდვის შესახებ, რაც თარიღობრივად ემთხვეოდა ზ. რ.-ს ჰოსპიტალიზაციის პერიოდს, ადვოკატმა გააკეთა განმარტება, რომ თ. ი.-ს შეეძლო ეყიდა ბილეთი და არ გადაფრენილიყო. მისმა ადვოკატმა ჰკითხა თ. ც.-ს, რომ თუ თ. ი. არ გადაფრინდა - ვალის აღიარების დოკუმენტს ხელს როგორ მოაწერდა, ამაზე უკვე თ. ც.-მა პასუხი ვეღარ გასცა.
- ერთ-ერთ სხდომაზე სასამართლოში მიიყვანა შვილი, როგორც ზ. რ.-ს მემკვიდრე. ამ ფაქტზე ადვოკატმა თ. ც.-მა დააფიქსირა არალოგიკური პოზიცია, რომ თ. ი.-ისა და ზ. რ.-ს ქორწინება არ იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და შვილიც არ ჰყავდათ, მაშინ როდესაც საქმეში წარდგენილი იყო ქორწინებისა და დაბადების მოწმობები.
- ზ. რ.-ს საავადმყოფო ისტორიაში არის ცნობა, სადაც მითითებულია რომ ის იყო ჰოსპიტალში 1 დღე, ადვოკატმა თ. ც.-მა ამ ფაქტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ჰოსპიტალიზაცია 1 დღიანი ვერ იქნებოდა.

1.11 მომჩივანმა განმარტა, რომ ეს ყველაფერი ასახავს ადვოკატის კვალიფიკაციისა და ლოგიკური აზროვნების დონეს.

1.12 2021 წლის 29 ივნისის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ საქმეზე სხდომების აქტიურად ჩანიშვნა დაიწყო 2 წლის წინ, თუმცა კოვიდ პანდემიის გამო, სასამართლო სხდომა ორჯერ გადაიდო 6-6 თვით.

1.13 მომჩივანმა განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულებები ზ. რ.-სა და მის მიერ იყო იძულებით დადებული.

1.14 ადვოკატებმა იცოდნენ თარგმანის უზუსტობის შესახებ და ამაზე ყურადღება არ გაამახვილეს. ამ მოქმედებით ადვოკატებმა შეცდომაში შეიყვანეს სასამართლო და მისი ადვოკატი. ამასთან, არც ერთ სასამართლო ფაილში არ არის მითითებული ნოტარიუსის მონაცემები.

2. ადვოკატების პოზიცია:

2.1 ადვოკატებმა დ. კ.-მა და თ. ც.-მა 2021 წლის 18 ივნისს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით განმარტებაში აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად წარმოადგენენ თ. ი.-ის საპროცესო მოწინააღმდეგეების: გ. ტ.-ის, ვ. ტ.-ის, ტ. ფ.-ს, ე. ტ.-ის და ე. ხ.-ის ინტერესებს. დღეისათვის, საქმეს განიხილავს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა.

2.2 ადვოკატთა განმარტებით, არ ეთანხმებიან საჩივარს, რადგან არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ ემყარება რეალურ მტკიცებულებებს.

2.3 ადვოკატთა განმარტებით, თ. ი. როგორც სასამართლოს მიმდინარეობისას, ისე სხდომის დარბაზის გარეთ გამოირჩევა განსაკუთრებული აგრესიით და აქვს შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება, მიუხედავად ამისა, ისინი, როგორც ადვოკატები, პროცესის ყველა მონაწილის მიმართ განმსჭვალული არიან პატივისცემით და კორექტულობით.

2.4 თ. ი.-ის მოქმედებამ შეიძინა ინტენსიურად აგრესიული ხასიათი მას შემდეგ, რაც წარადგინეს სააპელაციო საჩივარი. მომჩივანმა მათ კლიენტს არაპირდაპირი მუქარის შემცველი ინტონაციის შეტყობინება დაუტოვა. ეს საჩივარიც ემსახურება მიზანს, რომ მათმა მხარემ თ. ი.-ის მიმართ შეწყვიტოს დავა. ამ მიზნის მისაღწევად, ის არამართლზომიერად ერევა ადვოკატთა საქმიანობაში.

2.5 ადვოკატთა განმარტებით, დავაში წარმოადგენენ თ. ი.-ის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს და შესაბამისად ცხადია, რომ მათი ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის თ. ი.-ის პოზიციასთან. ამასთან, მათი მოქმედებები კანონიერია და ყველა საპროცესო მოქმედება, სამოქმედო ტაქტიკა და საქმის წარმოების სტრატეგია შეთანხმებული არის კლიენტთან.

2.6 ადვოკატთა განმარტებით, მომჩივანის პრეტენზიათა ნაწილი ეხება 2015 წელს განხორციელებულ მოქმედებებს, შესაბამისად ხანდაზმულია და კომისიამ არ უნდა შეაფასოს.

2.7 ი. ტ.-ისა და ე. ხ.-ის სარჩელს რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს წარედგინა 2015 წლის 29 დეკემბერს, თან ერთვის ორი სესხის ხელშეკრულება, ერთი დადებული ი. ტ.-ს, ზ. რ.-ს და თ. ი.-ს შორის, ხოლო მეორე - დადებული ე. ხ.-ს, ზ. რ.-ს და თ. ი.-ს შორის. ეს ხელშეკრულებები დაიდო რუსულ ენაზე და შესაბამისად, სასამართლოს წარედგინა სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი. როგორც დედანში, ისე თარგმანში მითითებულია სესხის სახით გაცემული ერთი და იგივე თანხა - 122 500 აშშ დოლარი. ციფრების სიტყვიერად გაშიფვრისას დაშვებულია მექანიკური შეცდომა და მითითებულია „ორას ორმოცდახუთი ათასი“. ეს როგორც ჩანს მთარგმნელს გამორჩა და ქართულ თარგმანში მიუთითა ციფრების შესაბამისი თარგმანი „ას ოცდაორი ათას ხუთასი“. სარჩელით მოთხოვნილია თითოეული ხელშეკრულებიდან გამომდინარე 122 500 აშშ დოლარი და არა 245 000 აშშ დოლარი. ტექნიკურ უზუსტობას მათი მხარე არ დაყრდნობია და ეს არც სასამართლოში გამხდარა განხილვის საგანი, ასევე, ამას არ ჰქონია რაიმე გავლენა სასამართლო წარმოებაზე. სამართალწარმოებისას აღნიშნულ თარგმაზე არც თ. ი.-ს და არც მის წარმომადგენელს პრეტენზია არ ჰქონიათ. მათმა მხარემ გახადა სადავოდ თ. ი.-ის მხარის მიერ წარმოდგენილი თარგმანი, რადგან იყო არასრულყოფილი და წარადგინა დოკუმენტების ალტერნატიული თარგმანი.

2.8 ადვოკატთა განმარტებით, სესხის ხელშეკრულებები არ ყოფილა სანოტარო წესით დამოწმებული და შესაბამისად მათ ვერ დაერთვებოდა სანოტარო აქტის რეკვიზიტების ამსახველი დოკუმენტი.

2.9 ადვოკატთა განმარტებით, როგორც კი მათთვის ცნობილი გახდა ერთ-ერთი მარწმუნებლის გარდაცვალების ფაქტი, ეს ინფორმაცია მყისიერად მიაწოდეს სასამართლოს და მიუთითეს სავარაუდო უფლებამონაცვლეების თაობაზე. მათ არანაირი ინტერესი არ ჰქონდათ დაემალათ კლიენტის გარდაცვალების ფაქტი.

2.10 ადვოკატთა განმარტებით, ისინი აღნიშნულ კლიენტებს მომსახურებას უწევენ 2015 წლიდან, რასაც მოწმობს როგორც სარჩელის შეტანის, ისე ჰონორარის მიღების თარიღი და საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში მითითებული 2014 წელი წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას.

2.11 ადვოკატთა განმარტებით, ამჟამად, თ. ი.-ის განცხადების საფუძველზე არ მიმდინარეობს რაიმე სახის გამოძიება პროკურატურაში. მათ მიერ დაფიქსირებული პოზიციები გამომდინარეობდა კლიენტის ინტერესებიდან და მომჩივანს ციტირებები დამახინჯებულად აქვს მითითებული. ცხადია, თ. ი.-ისათის მისაღები არ აღმოჩნდა მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი დ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო.

ადვოკატი თ. ც. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო.

3.2 თ. ი.-მა ეთიკის კომისიას მომართა 2021 წლის 14 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2015 – 2021 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

3.4 საპროცესო კოლეგიამ მხარეთა თანხმობით, ორივე ადვოკატის მიმართ წარმოდგენილი საერთო საჩივრისა და ადვოკატთა ერთობლივი განმარტების საფუძველზე, დისციპლინური საქმეები №040/21 და №041/21 გაერთიანა ერთ წარმოებად და დისციპლინურ საქმეს მიენიჭა №040/21. საქმეთა გაერთიანების მიზანია დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა, ვინაიდან საქმეები ერთმანეთთანაა დაკავშირებული - საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვას ადვოკატები ერთობლივად ახორციელებდნენ, საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატების მიმართ გამოთქმული პრეტენზიები იდენტურია და ადვოკატებმაც საერთო ახსნა-განმარტებით უპასუხეს მას. საპროცესო კოლეგია საქმეთა

გაერთიანების საფუძვლად ანალოგიის წესით იყენებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182.4 მუხლს.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატების დ. კ.-ისა და თ. ც.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატების დ. კ.-ისა და თ. ც.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატებმა სასამართლოს მიაწოდეს არასწორი ინფორმაცია - დამალეს დოკუმენტის თარგმანში არსებული უზუსტობა; მოსარჩელე ი. ტ.-ის გარდაცვალების ფაქტის შესახებ ადვოკატებმა სასამართლოს ინფორმაცია მიაწოდეს ამ პირის გარდაცვალებიდან 1 წლის შემდეგ; ადვოკატებსა და მათ კლიენტებს შორის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება გაფორმებულია 2014 წელს, მაშინ, როდესაც მხარეებს შორის დავა დაიწყო 2015 წლით დათარიღებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რაც ადასტურებს ადვოკატთა მონაწილეობას 2015 წლის ხელშეკრულების შექმნაში. ადვოკატებმა მოითხოვეს სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლება, იმ საფუძვლით, რომ მათ კლიენტებს არ შეეძლოთ სახელმწიფო ბაჟის თანხის გადახდა, რაც რეალობას არ შეესაბამება; ადვოკატების მსჯელობა სხდომის მიმდინარეობის დროს იყო არალოგიკური და არადამაჯერებელი.

5.2 საჩივრის ავტორის პრეტენზიებთან დაკავშირებით, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.2 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3 (ა) მუხლი: ,,საადვოკატო საქმიანობის პრინციპს წარმოადგენს კანონიერება“.

5.2.3 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5 (გ) მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია: არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“.

5.2.4 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1 მუხლი: „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

5.3 საადვოკატო საქმიანობა ეფუძნება კანონიერების პრინციპს, რაც გულისხმობს ადვოკატის მოქმედების ვალდებულებას კანონის ფარგლებში.

5.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №057/10, დაადგინა: „კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები. თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი

ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“

5.5 ადვოკატები დ. კ. და თ. ც. წარმოადგენენ საჩივრის ავტორის პროცესუალურ მოწინააღმდეგეთა (გ. ტ., ვ. ტ., ტ. ფ., ე. ტ., ე. ხ.) ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში და ამჟამად, წარმოადგენენ მათ ინტერესებს თბილისის სააპელაციო სასამართლოში. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნა მოპასუხის - თ. ი.-ის მიმართ. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით.

5.6 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატებმა ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე მოითხოვეს სახელმწიფო ბაჟის გადავადება და სასამართლოს მიაწოდეს არასწორი ინფორმაცია კლიენტთა ფინანსური მდგომარეობის შესახებ. კოლეგია განმარტავს, საპროცესო კანონმდებლობა მხარეს აძლევს საშუალებას მოითხოვოს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება/სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება. აღნიშნული კანონიერი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, შუამდგომლობის დასაბუთებულობიდან გამომდინარე.

5.7 კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატებმა სასამართლოს მიაწოდეს არასწორი ინფორმაცია - დამალეს დოკუმენტის თარგმანში არსებული უზუსტობა; მოსარჩელე ი. ტ.-ის გარდაცვალების ფაქტის შესახებ ადვოკატებმა სასამართლოს ინფორმაცია მიაწოდეს ამ პირის გარდაცვალებიდან 1 წლის შემდეგ; ადვოკატები ადასტურებენ, რომ დოკუმენტის თარგმანში იყო ტექნიკური უზუსტობა. ყოველ მხარეს შეუძლია მეორე მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულება გახადოს სადავოდ. მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ საბოლოოდ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. მომჩივან მხარეს კოლეგიისათვის არ წარმოუდგენია სარწმუნო მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ დოკუმენტის თარგმანში არსებული უზუსტობის შესახებ ინფორმაციას ფლობდა მისი წარმდგენი მხარე.

5.8 ადვოკატები განმარტავენ, რომ მათ კლიენტის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია სასამართლოს მიაწოდეს დაუყოვნებლივ, ამ ინფორმაციის შეტყობინების ფაქტიდან. საქმის მასალებიდან არ დგინდება, როდის შეიტყვეს ადვოკატებმა ერთ-ერთი კლიენტის გარდაცვალების ფაქტი. აღნიშნული ინფორმაცია საბოლოოდ სასამართლოს მიაწოდეს სწორედ ადვოკატებმა და მიუთითეს სავარაუდო უფლებამონაცვლეების თაობაზე.

5.9 კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატებსა და მათ კლიენტებს შორის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება გაფორმებულია 2014 წელს, მაშინ, როდესაც მხარეებს შორის დავა დაიწყო 2015 წლით დათარიღებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რაც ადასტურებს ადვოკატთა მონაწილეობას 2015 წლის ხელშეკრულების შექმნაში. ადვოკატები

განმარტავენ, რომ საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაში არასწორადაა მითითებული ხელშეკრულების გაფორმების თარიღი, სადაც ნაცვლად 2014 წლისა, უნდა იყოს მითითებული 2015 წელი, როდესაც რეალურად დაიწყეს აღნიშნულ კლიენტთა მომსახურება. მომჩივან მხარეს არ წარმოუდგენია სარწმუნო მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ ადვოკატებს დ. კ.-ს, თ. ც.-სა და მათ კლიენტებს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა მანამ, სანამ გაფორმდებოდა სადავო ხელშეკრულება. კოლეგიას ადვოკატთა პოზიცია - რომ აღნიშნული ფაქტი იყო ტექნიკური შეცდომა, მიაჩნია სარწმუნოდ.

5.10 კოლეგია განმარტავს, რომ შესაძლოა მოწინააღმდეგე მხარეს არ მოსწონდეს ადვოკატის მიერ დაყენებული შუამდგომლობა, დაცვის სტრატეგია, სხდომაზე ადვოკატის მიერ განვითარებული მსჯელობის ლოგიკურობა, მაგრამ ადვოკატი დაცვის სტრატეგიას, დასაყენებელი შუამდგომლობის შინაარსს ათანხმებს მხოლოდ კლიენტთან, კლიენტი ირჩევს მას კვალიფიციურობიდან გამომდინარე და საქმეზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. კონკრეტული ადვოკატის კვალიფიციურობაზე მისი კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარის პრეტენზია ვერ შეფასდება.

5.11 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ მომჩივანის ყველა პრეტენზია უკავშირდება თ. ც.-ისა და დ. კ.-ის მიერ კლიენტის დაცვის პროცესში, კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ მიმართულ კანონიერ ქმედებას. შესაბამისად, ადვოკატების დ. კ.-ისა და თ. ც.-ის ქმედებებში არ დგინდება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, რის გამოც ადვოკატთა მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.12 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №040/21 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატების დ. კ.-ისა /სიითი №/ და თ. ც.-ის /სიითი N/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/